განათლების ადმინისტრირება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:	**განათლების ადმინისტრირება**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი (Master of Education Administration)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	120 ECTS
სწავლების ენა:	ინგლისური
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე. საერთაშორისო კანდიდატებს შეუძლიათ განაცხადის შეტანა საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობისა და ინსტიტუციური რეგულაციების შესაბამისად. მიღების პროცესს კოორდინირებას უწევს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (IRO), რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილ კონსულტაციას განაცხადის შეტანის პროცედურების, საჭირო დოკუმენტაციისა და სავიზო საკითხების შესახებ. დეტალური ინფორმაციისთვის საერთაშორისო სტუდენტების მიღების შესახებ, მათ შორის განაცხადების წარდგენის ვადების, საჭირო დოკუმენტაციისა და სტუდენტური ვიზის პროცედურების შესახებ, გთხოვთ, ეწვიოთ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ვებგვერდს: https://iro.ibsu.edu.ge/admissions/. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით). ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ინგლისურენოვანი საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL IBT- 72<, IELTS- 5.5<, FCE, CAE, CERTUS და ა.შ).

	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №10 ბრძანება (4.02.2010 წ.) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადაყვანისა და საფასურის დამტკიცების წესის შესახებ“ სტუდენტების ჩარიცხვა ხდება მობილობის შესაბამისად. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სამაგისტრო სწავლების დებულებაში. სპეციალობაში კანდიდატის შეფასება ხდება ინტერვიუს საფუძველზე შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: გასაუბრების შეფასების რუბრიკა (20 ქულა) 1. კომუნიკაციის უნარები კანდიდატის უნარი გამოხატოს იდეები მკაფიოდ, თავისუფლად და თავდაჯერებულად, როგორც ვერბალურად, ისე არავერბალურად. 5 ქულა- ავლენს გამორჩეულ კომუნიკაციის უნარებს დახვეწილი ენის გამოყენებითა და დამაჯერებელი მიწოდებით; 4-3 ქულა- ავლენს ადეკვატურ კომუნიკაციის უნარებს ზოგადად მკაფიო გამოხატვით; 2-1 ქულა- აჩვენებს ძირითად კომუნიკაციის უნარებს გარკვეული სიცხადის პრობლემებით 2. საგანმანათლებლო სისტემების ცოდნა კანდიდატის ცოდნა განათლების სისტემებისა და პოლიტიკის შესახებ. 5 ქულა- ავლენს ფართო ცოდნას საგანმანათლებლო სისტემების შესახებ დეტალური გაგებით; 4- 3 ქულა- ავლენს ძირითად ცოდნას საგანმანათლებლო სისტემების შესახებ; 2-1 ქულა- აჩვენებს არასაკმარის ცოდნას 3. მოტივაცია კანდიდატის მოტივაცია იმუშაოს განათლების სექტორში; ენთუზიაზმი საგანმანათლებლო ლიდერობის მიმართ და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა. 5 ქულა- აჩვენებს გამორჩეულ მოტივაციას მკაფიო მიზნითა და შესაბამისობით; 4-3 ქულა- აჩვენებს ადეკვატურ მოტივაციას გარკვეული შესაბამისობით; 2-1 ქულა- ავლენს შეზღუდულ მოტივაციას სუსტი შესაბამისობით

	4. კრიტიკული აზროვნება კანდიდატის უნარი კრიტიკულად გააანალიზოს სიტუაციები, აჩვენოს დამოუკიდებელი აზროვნება და წარმოადგინოს კარგად დასაბუთებული პერსპექტივები საგანმანათლებლო საკითხებზე. 5 ქულა- ავლენს გამორჩეულ კრიტიკულ აზროვნებას დახვეწილი ანალიზით 4-3 ქულა- ავლენს ადეკვატურ კრიტიკულ აზროვნებას ძირითადი ანალიზით 2-1 ქულა- აჩვენებს შეზღუდულ კრიტიკულ აზროვნებას სუსტი ანალიზით
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::	განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს პროფესიონალები, რომლებიც ფლობენ ადმინისტრირებისათვის დამახასიათებელ ინტერდისციპლინურ, ღრმა სისტემურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, უნარ-ჩვევებს (კვლევა; საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება, კურიკულუმის განვითარება, საგანმანათლებლო პროცესების განხორციელება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, განათლების სისტემაში არსებული ადამიანური და ფინანსური პროცესების დაგეგმვა, მართვა, შეფასება, მონიტორინგი და განვითარება) და იცავენ პროფესიულ ეთიკის ნორმებს. აგრეთვე, პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეძლონ თვით- და ურთიერთშეფასება, დამოუკიდებელად სწავლის სტრატეგიული დაგეგმვა და განხორციელება, განათლების ადმინისტრატორისთვის აუცილებელი წერილობითი, ზეპირი კომუნიკაცია და დოკუმენტების მართვა ინგლისურ ენაზე. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები მზად იქნებიან დაიკავონ ადმინისტრაციული პოზიციები ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უხელმძღვანელონ ორგანიზაციულ ცვლილებებს და დანერგონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა სხვადასხვა სასწავლო გარემოში საგანმანათლებლო შედეგების გასაუმჯობესებლად იმის გათვალისწინებით თუ რატომ და როგორ სწავლობენ ადამიანები და სისტემები.
სწავლის შედეგები	პროგრამის დასრულებისას სტუდენტი შეძლებს დარგობრივი თეორიების, პრინციპების, პრაქტიკის, მიმდინარე ცვლილებების განსაზღვრასა და სირთულეების იდენტიფიცირებას:

	ცოდნა და გაცნობიერება	1. აღწერს და განსაზღვრავს საგანმანათლებლო სისტემებს, პოლიტიკას, სამართლებრივ და ფინანსურ ჩარჩოებს, თეორიებს, რეფორმებს, ლიდერობის პრაქტიკას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ადამიანურ რესურსებს, კურიკულუმის შემუშავებას, სწავლების მიდგომებს და პროფესიულ ეთიკას უმაღლესი, ზოგადი და პროფესიული განათლების კონტექსტში კვლევისა და პრაქტიკის საშუალებით; 2. კრიტიკულად იაზრებს განათლების ადმინისტრირების პრინციპებს და მათ ეფექტურობას დემოკრატიული ღირებულებების ხელშეწყობაში შემთხვევის ანალიზის შესწავლის, პოლიტიკის ანალიზის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევისა და პრაქტიკის საშუალებით;
	უნარები	3. ანვითარებს ინოვაციურ კურიკულუმს, სწავლების სტრატეგიებსა და შეფასების ჩარჩოებს უმაღლესი, ზოგადი და პროფესიული განათლების კონტექსტში თეორიული ანალიზის, პრაქტიკული განხორციელებისა და შედეგების სისტემური შეფასების გზით და დადგენილი ხარისხის სტანდარტებისა და პროფესიული სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით; 4. ავლენს ტრანსფორმაციული ლიდერობის უნარს ინოვაციურად გადაჭრას განათლებაში არსებული კომპლექსური გამოწვევები სტრატეგიული ხედვის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, თეორიული ცოდნის სინთეზის, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციისა და კვლევაზე დაფუძნებული პროექტების განხორციელების გზით და ხელი შეუწყოს ინსტიტუციურ ცვლილებებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; 5. ატარებს საფუძვლიან საგანმანათლებლო კვლევას შესაბამისი მეთოდოლოგიების შერჩევით, მონაცემთა შეგროვებისა და სისტემური

		ანალიზის საშუალებით და წარადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს სამეცნიერო კომუნიკაციების საშუალებით; 6. ეფექტურად გადმოსცემს კომპლექსურ საგანმანათლებლო კვლევასა და თეორიას ინგლისურ ენაზე წერილობითი და ზეპირი პრეზენტაციების გზით, ამავდროულად ავლენს კომპეტენციას პროფესიულ კომუნიკაციასა და დოკუმენტების მართვაში, იყენებს რა აუდიტორიაზე მორგებულ სტრატეგიებს აკადემიურ, პროფესიულ და საჯარო კონტექსტში.
	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	7. ავლენს პროფესიული ეთიკის დაცვით კრიტიკული თვითრეფლექსიისა და კოლეგიალური შეფასების მაღალ კომპეტენციას, ამავდროულად დამოუკიდებლად გეგმავს და იყენებს სტრატეგიებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.	

	ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით: ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში; ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით. შეფასების საშუალებები შემდეგია: ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა; საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა; საშინაო დავალება; დისკუსია; ზეპირი გამოკითხვა; წერითი გამოკითხა; ესე; სემინარი; პრეზენტაცია; შემთხვევის ანალიზი; ანგარიში; ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი; შუალედური და დასკვნითი გამოცდა. შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან

	გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი და არგუმენტების ლოგიკურობა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება: სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით, რომელიც შედგება ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის შეფასებებისაგან. ხელმძღვანელი აფასებს 30 ქულით, რეცენზენტი 33 ქულით, კომისია 37 ქულით. დასკვნითი შეფასებისათვის, აღნიშნული შეფასებები ჯამდება. სამაგისტრო თემის დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა არის 100 ხელმძღვანელის შეფასება/ კომპონენტები: აქტუალობა 4-3 ქულა- არჩეული თემა არის აქტუალური და მნიშვნელოვანი. თემა ეხმაურება თანამედროვე პრობლემას. განსაზღვრულია კვლევის ჩატარების საჭიროება. 2-1 ქულა- არჩეული თემა არის აქტუალური და მნიშვნელოვანი, მაგრამ მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი პრობლემები. მკაფიოდ არ არის განსაზღვრული კვლევის ჩატარების საჭიროება. 0 ქულა-არჩეული თემა არ არის აქტუალური. სიახლე 4 ქულა- 1).შესწავლილია ახალი პრობლემა ან/და უკვე ნაკვლევი პრობლემის/საკითხის ინოვაციური მიდგომა; 2). შემუშავებულია ახალი დასკვნები ან/და ორიგინალური რეკომენდაციები; 3). შემუშავებულია ახალი მოდელი ან/და გამოყენებულია ახლებური კვლევის მეთოდოლოგია . ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ნაშრომი პასუხობს მინიმუმ ორ პუნქტს. 3 ქულა- 1). შესწავლილია ახალი პრობლემა ან/და უკვე ნაკვლევი პრობლემის/საკითხის ინოვაციური მიდგომა; 2). შემუშავებულია ახალი დასკვნები ან/და ორიგინალური რეკომენდაციები; 3). შემუშავებულია ახალი მოდელი ან/და გამოყენებულია ახალი კვლევის მეთოდი. ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ნაშრომი პასუხობს მინიმუმ ერთ პუნქტს. 2-1 ქულა-1). სრულყოფილად არ არის შესწავლილი ახალი პრობლემა, შესაბამისად, სუსტია ინოვაციური მიდგომა; 2). შემუშავებულია დასკვნები ან/და რეკომენდაციები, მაგრამ არ იკვეთება

	სიახლე და ორიგინალობა; 3). არ არის შემუშავებული ახალი მოდელი ან/და ახალი კვლევის მეთოდი. 0 ქულა -ნაშრომში არ არის მოცემული კვლევის სიახლე. კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა 5 ქულა- ა) ნაშრომში მოცემული ანალიზები და დასკვნები ეფუძნება დარგისთვის მნიშვნელოვან თეორიას/თეორიებს; მოხდა საკითხის შესწავლისთვის მანამდე არსებულ კვლევებში გამოყენებული მიდგომების ვალიდაცია ან უარყოფა. ბ) ნაშრომში მოცემული მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები განსაზღვრავს ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ნაშრომში შემუშავებულია პრაქტიკული ღირებულების რეკომენდაცია, რომელიც მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეებისთვის. 4-3 ქულა- ა) ნაშრომში მოცემული ანალიზი და დასკვნები ეფუძნება დარგის თეორიას/თეორიებს, მაგრამ არ არის საკმარისი საკითხის სრულყოფილად გაანალიზებისთვის; ბ) ნაშრომში მოცემული მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები განსაზღვრავს ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას, მაგრამ მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი მათი მნიშვნელობა დაინტერესებული მხარეებისთვის. 2-1 ქულა- ა) ნაშრომში ჩამოთვლილია თეორია/თეორიები, მაგრამ არ ჩანს კავშირი კვლევის მიზანთან; ბ)ნაშრომში მოცემული მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები მკაფიოდ არ განსაზღვრავს ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას და საერთოდ არ არის გამოკვეთილი მათი მნიშვნელობა დაინტერესებული მხარეებისთვის. 0 ქულა -ნაშრომში არ არის მოცემული კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა 5 ქულა- ნაშრომში მოცემულია: 1) საერთაშორისო და ადგილობრივი შემთხვევებისა და გამოცდილების სიღრმისეული და კრიტიკული ანალიზი და შეფასება; 2) სხვადასხვა მოსაზრებების შედარება და ანალიზი; 3) ორიგინალური დასკვნები.

	4-3 ქულა- ნაშრომში მოცემულია: 1) მხოლოდ ან საერთაშორისო ან ადგილობრივი შემთხვევებისა და გამოცდილების სიღრმისეული და კრიტიკული ანალიზი და შეფასება; 2) სხვადასხვა მოსაზრებების შედარება და არ არის გაანალიზებული; 3) დასკვნები, რომელშიც არ არის ორიგინალობა გამოკვეთილი, მაგრამ ჩანს ანალიზი. 2-1 ქულა- ნაშრომში მოცემულია: 1) მხოლოდ ან საერთაშორისო ან ადგილობრივი შემთხვევებისა და გამოცდილების მხოლოდ ჩამონათვალი; 2) სხვადასხვა მოსაზრებების მხოლოდ ჩამონათვალი; 3) დასკვნები, რომელშიც არ არის ანალიზი (შეიცავს დესკრიფციულ ინფორმაციას). 0 ქულა - ნაშრომი არ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებს. ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდები და შედეგების დამაჯერებლობა 6-5 ქულა- ნაშრომის სტრუქტურა ლოგიკურია: თავები და ქვეთავები შინაარსობრივად არის ერთმანეთთან დაკავშირებული; ნაშრომში ჩანს ლოგიკური მსჯელობა და სიღრმისეული ანალიზი. გამოყენებულია აკადემიური ენა. კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები სწორად არის შერჩეული; საკვლევი შეკითხვები კარგად არის ფორმულირებული და შეესაბამება კვლევის მიზანსა და ჰიპოთეზას/არგუმენტს; გამოკვეთილია კვლევის სამიზნე ჯგუფი; კვლევის შედეგად მიღებული მონაცამები სტატისტიკურად არის დამუშავებული, გაანალიზებული და გასაგებია მკითხველისთვის; თვალსაჩინოებისთვის მოცემულია გრაფები და ცხრილები. 4 ქულა- ნაშრომის სტრუქტურა ძირითადად ლოგიკურია: თავები და ქვეთავები შინაარსობრივად არის ერთმანეთთან დაკავშირებული; ნაშრომში ჩანს მსჯელობა და მწირი ანალიზი. გამოყენებულია აკადემიური ენა, შეინიშნება მხოლოდ მცირე ტექნიკური ხარვეზი. კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები სწორად არის შერჩეული; საკვლევი შეკითხვები არის ფორმულირებული, მაგრამ არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი კავშირი კვლევის მიზანთან და ჰიპოთეზასთან/არგუმენტთან. გამოკვეთილია კვლევის სამიზნე ჯგუფი; კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები

	სტატისტიკურად არის დამუშავებული, მაგრამ ანალიზი მწირია; თვალსაჩინოებისთვის მოცემულია გრაფები და ცხრილები. 3-2 ქულა- ნაშრომში ჩანს სტრუქტურა, მაგრამ ქვეთავები ხშირ შემთხვევაში არ არის ლოგიკურად დალაგებული, თუმცა შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულია; ნაშრომში მკაფიოდ არ ჩანს ლოგიკური მსჯელობა და ანალიზი- ნაშრომი ეყრდნობა დესკრიფციულ ინფორმაციას. ბევრია ენობრივი და სტილისტური შეცდომა. კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები ჩამოთვლილია; საკვლევი შეკითხვები მიზანთან მიმართებაში დასახვეწია. კარგად არ არი გამოკვეთილი კვლევის სამიზნე ჯგუფი; კვლევის შედეგად მიღებული მონაცამები სტატისტიკურად არის დამუშავებული, მაგრამ არ არის ანალიზი მოცემული; მოცემულია მხოლოდ გრაფები და ცხრილები, რომელიც არ არის ახსნილი მკითხველისთვის. 1 ქულა- ნაშრომში არ ჩანს ლოგიკური სტრუქტურა; ნაშრომში ინფორმაცია გაფანტულია და არ არის გადანაწილებული ქვეთავებად, თუმცა შინაარსი მაინც იკვეთება; ბევრია ენობრივი შეცდომა. ნაშრომში არ ჩანს ლოგიკური მსჯელობა და ანალიზი. კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები სწორად არ არის შერჩეული; გამოკვეთილია კვლევის სამიზნე ჯგუფი; კვლევის შედეგად მიღებული მონაცამები სტატისტიკურად არ არის დამუშავებული, მაგრამ მწირი ინფორმაცია მაინც მოცემულია. 0 ქულა - ნაშრომი არ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებს. შზსუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან შესაბამისობა 3 ქულა- ნაშრომი აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს: 1) ლიტერატურა ძირითადად მოიცავს სამეცნიერო წიგნებს და სტატიებს. გამოყენებულია მინიმუმ 20 წყარო; 2) ბიბლიოგრაფია- ტექსტში ყველა აღნიშნული წყარო არის მოყვანილი სიაში და, პირიქით, ყველა სიაში მოყვანილი წყარო არის აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომში; 3) ბიბლიოგრაფიის მითითებისას გამოყენებულია APA 7 სტილი სწორად; 4) ნაშრომის ფორმატია შრიფტი Times New Roman, ზომა 12 (სათაურები 14, ქვესათაურები 13), 1,5 ინტერვალი სტრიქონებს შორის, ზედა-ქვედა მინდვრები 2,5 სმ, მარცნივ 3,5 სმ, მარჯვნივ - 1,5 სმ. 5) ნაშრომის მოცულობაა 60-70 გვერდი. 2-1 ქულა- 1) ლიტერატურა მოიცავს სამეცნიერო წიგნებს და სტატიებს. გამოყენებულია 20 წყაროზე ნაკლები; 2) ბიბლიოგრაფია- ტექსტში ყველა აღნიშნული წყარო არ არის მოყვანილი სიაში და,

	პირიქით, ყველა სიაში მოყვანილი წყარო არის არის აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომში; 3) ბიბლიოგრაფიის მითითებისას გამოყენებულია შესაბამისი APA სტილი, მაგრამ არის უზუსტობები; 4)ნაშრომის ფორმატი საჭიროებს ტექნიკურ გამართვას 5) ნაშრომის მოცულობაა 60 გვერდზე ნაკლებია (აღემატება დასაშვებ 10%-ს). 0 ქულა- ნაშრომი არ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს. ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში ჩართულობა 3 ქულა- სტუდენტი აქტიურად იყო ჩართული ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში. ფიზიკურ ან/და ონლაინ შეხვედრებს ქონდა რეგულარული ხასიათი. სტუდენტი ითვალისწინებდა ხელმძღვანელის რეკომენდაციებს და ამავდროულად, გამოხატავდა საკუთარ აზრს; მზად იყო კონსტრუქციული უკუკავშირისთვის; იცავდა ხელმძღვანელის მიერ დადგენილ ვადებს და დროულად აგზავნიდა შესრულებულ დავალებას; 2-1 ქულა- სტუდენტი აცდენდა ხელმძღვანელთან ჩანიშნულ კონსულტაციებს და არ იყო აქტიურად იყო ჩართული ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში. სტუდენტი უმეტესად ითვალისწინებდა ხელმძღვანელის წერილობით რეკომენდაციებს; არ იცავდა ხელმძღვანელის მიერ დადგენილ ვადებს და დროულად არ აგზავნიდა შესრულებულ დავალებას; 0 ქულა- სტუდენტი არ თანამშრომლობდა ხელმძღვანელთან. 1. აქტუალობა, 2. სიახლე, 3. კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა, 4. საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა, 5. ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდები და შედეგების დამაჯერებლობა, 6. შზსუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან შესაბამისობა - ფასდება ერთნაირი შეფასების რუბრიკით. განსხვავებული შეფასების კომპონენტის შეფასების რუბრიკა მოცემულია ქვემოთ. რეცენზენტის შეფასება/ კომპონენტები: აქტუალობა- 4 ქულა / მინიმალური ქულა 1 სიახლე- 4 ქულა/მინიმალური 1 ქულა კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა- 5 ქულა/მინიმალური ქულა 1

	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა-5 ქულა/მინიმალური ქულა 1 ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდები და შედეგების დამაჯერებლობა - 6 ქულა/მინიმალური ქულა 1 შზსუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან შესაბამისობა- 3 ქულა/ მინიმალური 1 ქულა დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა-6 ქულა 6 ქულა-სტუდენტი პასუხობს აბსოლუტურად ყველა შეკითხვას, ასაბუთებს საკუთარ პოზიციას; მსჯელობს ლოგიკურად და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას. 5 ქულა-სტუდენტი ვერ პასუხობს დასმული შეკითხვებიდან მხოლოდ ერთ შეკითხვას, მაგრამ სხვა კითხვების შემთხვევაში ასაბუთებს საკუთარ პოზიციას; მსჯელობს ლოგიკურად და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას. 4-3 ქულა- სტუდენტი ზედაპირულად პასუხობს ყველა შეკითხვას, მაგრამ აკლია საკუთარი პოზიციის დაასაბუთება; ტერმინოლოგია გასაგებია. 2-1 ქულა- სტუდენტი ვერ პასუხობს დასმული შეკითხვებიდან ორ ან უფრო მეტ შეკითხვას; აკლია საკუთარი პოზიციის დაასაბუთება; არ იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას ყოველთვის. 0 ქულა- სტუდენტი ვერ პასუხობს შეკითხვებს. კომისიის შეფასება/კომპონენტები: აქტუალობა- 4 ქულა / მინიმალური ქულა 1 სიახლე- 4 ქულა/მინიმალური 1 ქულა კვლევის თეორიული ან/და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა- 5 ქულა/მინიმალური ქულა 1 საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა-5 ქულა/მინიმალური ქულა 1 ნაშრომის სტრუქტურა, კვლევის მეთოდები და შედეგების დამაჯერებლობა - 6 ქულა/მინიმალური ქულა 1

	დაცვისას მასალის პრეზენტაცია - 7 ქულა 7 ქულა- სტუდენტი აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს: 1). მეტყველებს გამართულად; 2). მიმართავს აუდიტორიას, იყენებს თვალის კონტაქტს; 3). იყენებს აკადემიურ ენას; 4) მისი მსჯელობა ლოგიკურია; 5) პრეზენტაცია არის აკადემიური სტილის: აკადემიური ფერი, ფონი, ფონტი და ვიზუალური გაფორმება; 6) პრეზენტაციის სტრუქტურა ლოგიკურია და ასახავს ნაშრომის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს; 7) პრეზენტაციას აქვს ბიბლიოგრაფია თანდართული. 6 ქულა-სტუდენტი აკმაყოფილებს ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ექვსს: 1). მეტყველებს გამართულად; 2). მიმართავს აუდიტორიას, იყენებს თვალის კონტაქტს; 3). იყენებს აკადემიურ ენას; 4) მისი მსჯელობა ლოგიკურია; 5) პრეზენტაცია არის აკადემიური სტილის: აკადემიური ფერი, ფონი, ფონტი და ვიზუალური გაფორმება; 6) პრეზენტაციის სტრუქტურა ლოგიკურია და ასახავს ნაშრომის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს; 7) პრეზენტაციას აქვს ბიბლიოგრაფია თანდართული. 5 ქულა-სტუდენტი აკმაყოფილებს ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ხუთს: 1). მეტყველებს გამართულად; 2). მიმართავს აუდიტორიას, იყენებს თვალის კონტაქტს; 3). იყენებს აკადემიურ ენას; 4) მისი მსჯელობა ლოგიკურია; 5) პრეზენტაცია არის აკადემიური სტილის: აკადემიური ფერი, ფონი, ფონტი და ვიზუალური გაფორმება; 6) პრეზენტაციის სტრუქტურა ლოგიკურია და ასახავს ნაშრომის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს; 7) პრეზენტაციას აქვს ბიბლიოგრაფია თანდართული. 4 ქულა-სტუდენტი აკმაყოფილებს ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ოთხს: 1). მეტყველებს გამართულად; 2). მიმართავს აუდიტორიას, იყენებს თვალის კონტაქტს; 3). იყენებს აკადემიურ ენას; 4) მისი მსჯელობა ლოგიკურია; 5) პრეზენტაცია არის აკადემიური სტილის: აკადემიური ფერი, ფონი, ფონტი და ვიზუალური გაფორმება; 6) პრეზენტაციის სტრუქტურა ლოგიკურია და ასახავს ნაშრომის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს; 7) პრეზენტაციას აქვს ბიბლიოგრაფია თანდართული. 3 ქულა-სტუდენტი აკმაყოფილებს ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან მხოლოდ სამს: 1). მეტყველებს გამართულად; 2). მიმართავს აუდიტორიას, იყენებს თვალის კონტაქტს; 3). იყენებს აკადემიურ ენას;

	4) მისი მსჯელობა ლოგიკურია; 5) პრეზენტაცია არის აკადემიური სტილის: აკადემიური ფერი, ფონი, ფონტი და ვიზუალური გაფორმება; 6) პრეზენტაციის სტრუქტურა ლოგიკურია და ასახავს ნაშრომის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს; 7) პრეზენტაციას აქვს ბიბლიოგრაფია თანდართული. 2 ქულა-სტუდენტი აკმაყოფილებს ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან მხოლოდ ორს: 1). მეტყველებს გამართულად; 2). მიმართავს აუდიტორიას, იყენებს თვალის კონტაქტს; 3). იყენებს აკადემიურ ენას; 4) მისი მსჯელობა ლოგიკურია; 5) პრეზენტაცია არის აკადემიური სტილის: აკადემიური ფერი, ფონი, ფონტი და ვიზუალური გაფორმება; 6) პრეზენტაციის სტრუქტურა ლოგიკურია და ასახავს ნაშრომის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს; 7) პრეზენტაციას აქვს ბიბლიოგრაფია თანდართული. 1 ქულა-სტუდენტი აკმაყოფილებს ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან მხოლოდ ერთს: 1). მეტყველებს გამართულად; 2). მიმართავს აუდიტორიას, იყენებს თვალის კონტაქტს; 3). იყენებს აკადემიურ ენას; 4) მისი მსჯელობა ლოგიკურია; 5) პრეზენტაცია არის აკადემიური სტილის: აკადემიური ფერი, ფონი, ფონტი და ვიზუალური გაფორმება; 6) პრეზენტაციის სტრუქტურა ლოგიკურია და ასახავს ნაშრომის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს; 7) პრეზენტაციას აქვს ბიბლიოგრაფია თანდართული. დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა-6 ქულა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკა სამაგისტრო პროგრამის კურსებისთვის: პროგრამა აღიარებს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების როლს აკადემიურ კვლევაში მკაცრი აკადემიური სტანდარტების დაცვით. სტუდენტებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები სპეციფიკური დამხმარე ფუნქციებისთვის (წყაროების მართვა, კორექტირება და საკვლევი კითხვების დახვეწა). ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით პროდუქტიულობის გაზრდა მისაღებია ისეთი დავალებებისთვის, როგორიცაა შეხვედრების შეჯამება, პროექტის დაგეგმვა, სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა და ადმინისტრაციული

	დოკუმენტაცია. თუმცა, სტუდენტებმა მკაფიოდ უნდა გაამჟღავნონ ხელოვნური ინტელექტის ყველა ინსტრუმენტის გამოყენება თავიანთ ნაშრომებში, გამოყენებული ინსტრუმენტების მითითებით და მნიშვნელოვანი ხელოვნური ინტელექტის ინტერაქციების დეტალური ჩანაწერების წარმოებით. მკაცრად აკრძალულია: ორიგინალური კვლევის შედეგების გენერირება, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული შინაარსის ორიგინალურ ნაშრომად წარდგენა, ლიტერატურის მიმოხილვის შინაარსის შექმნა დადასტურების გარეშე, თეორიული ჩარჩოების შემუშავება ან კვლევითი კითხვების გენერირება. სტუდენტებმა დამოუკიდებლად უნდა გადაამოწმონ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ყველა ინფორმაცია და შეინახონ ხელოვნურ ინტელექტთან ინტერაქციის ორიგინალი ასლები. შეფასების მიზნებისთვის, შეფასდება ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების სათანადო გამოყენება, ორიგინალური კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებელი კვლევის უნარი და ხელოვნური ინტელექტის დახმარების სათანადო დოკუმენტირება. ამ პოლიტიკის დარღვევა ითვლება აკადემიურ გადაცდომად. სტუდენტებს რეკომენდაცია ეძლევათ განიხილონ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება თავიანთ ლექტორებთან და ხელმძღვანელებთან. ყველა წერილობითი დავალება მოწმდება პლაგიატზე (Turnitin პროგრამული უზრუნველყოფა).
დასაქმების სფერო	ადმინისტრაციული მუშაკი განათლების სფეროში - საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი. კურსდამთავრებულს შეუძლია იმ სამთავრობო თუ არა-სამთავრობო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დასაქმება, რომლებიც მუშაობენ განათლების საკითხებზე. ასევე, არის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

#	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	წინაპირობა	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით										
					I ს.წ.		II ს.წ.		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები
					I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	ლექცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული	მოცულობა (საათი)	დასკვნითი	სულ საკონტაქტო		
სავალდებულო კომპონენტი				**72**	**30**	**28**	**14**		**147**	**157**	**8**	**6**	**318**	**1482**	**1800**
1	EAD136 განათლების პოლიტიკა (ჰიბრიდული)	სავალდებულო	არ აქვს	8	8				14	14	0	0	28	172	200
2	EAD124 განათლების მართვის საკანონმდებლო ბაზა	სავალდებულო	არ აქვს	7	7				18	10	2	2	32	143	175
3	EAD137 კვლევის მეთოდები განათლებაში	სავალდებულო	არ აქვს	8	8				14	28	0	0	42	158	200
4	EAD123 განათლების თეორიები და ფსიქოლოგია	სავალდებულო	არ აქვს	7	7				13	15	2	0	30	145	175
5	EAD135 განათლების ხარისხის მართვა	სავალდებულო	არ აქვს	8		8			28	14	2	2	46	154	200
6	EAD139 ლიდერობა და ცვლილებების მენეჯმენტი განათლებაში	სავალდებულო	არ აქვს	7		7			14	14	0	0	28	147	175

7	EAD128 განათლების დაფინანსება და ბიუჯეტირება	სავალდებულო	არ აქვს	7		7			14	14	2	2	32	143	175
8	EAD115 ადამიანური რესურსების მართვა განათლებაში	სავალდებულო	არ აქვს	6		6			14	14	0	0	28	122	150
9	EAD125 კურიკულუმი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები განათლებაში (ჰიბრიდული)	სავალდებულო	განათლების ხარისხის მართვა	6			6		18	10	0	0	28	122	150
10	EAD108 პრაქტიკა	სავალდებულო	სავალდებულო სასწავლო კურსები	8			8		0	24	0	0	24	176	200
არჩევითი კომპონენტი				**18**			**18**		**42**	**42**	**0**	**0**	**84**	**366**	**450**
11	EAD127 სკოლის ადმინისტრირება	არჩევითი	არ აქვს	6			6		14	14	0	0	28	122	150
12	EAD131 უმაღლესი განათლების ლიდერობა და ადმინისტრირება	არჩევითი	არ აქვს	6			6		14	14	0	0	28	122	150
13	EAD130 პროფესიული განათლების ადმინისტრირება	არჩევითი	არ აქვს	6			6		14	14	0	0	28	122	150
14	EAD138 გენდერი, ჯანმრთელობა და პირადი უსაფრთხოების შესახებ განათლება	არჩევითი	EAD123	6			6		12	16	0	0	28	122	150
15	EAD134 ზრდასრულთა განათლება და ფსიქოლოგია	არჩევითი	EAD123	6			6		14	14	0	0	28	122	150
16	EAD132 ინკლუზიური და სპეციალური განათლება	არჩევითი	EAD123	6			6		14	14	2	2	32	118	150
17	EAD140 განათლების სოციოლოგია	არჩევითი	არ აქვს	6			6		14	14	0	0	28	122	150
18	EAD129 განათლების ტექნოლოგიები	არჩევითი	არ აქვს	6			6		13	15	0	0	28	122	150

19	EAD113 გლობალური განათლება	არჩევითი	არ აქვს	6			6		14	14	0	0	28	122	150
20	EAD121 ტრანსფერული უნარების განვითარება განათლებაში	არჩევითი	EAD125	6			6		13	15	0	0	28	122	150
21	EAD120 ორგანიზაციული ქცევა განათლებაში	არჩევითი	არ აქვს	6			6		15	13	0	0	28	122	150
22	EAD119 სტრატეგიული განვითარება განათლებაში	არჩევითი	EAD139	6			6		15	13	0	0	28	122	150
23	EAD133 პროექტის მართვა განათლებაში	არჩევითი	არ აქვს	6			6		14	14	0	0	28	122	150
კვლევითი კომპონენტი		**სავალდებულო**													
24	EAD118 სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი	**30**				**30**	**0**	**30**	**0**	**0**	**30**	**720**	**750**
სულ				**120**	**30**	**28**	**32**	**30**	**189**	**229**	**8**	**6**	**432**	**2568**	**3000**